

**გიორგი ჯურული და  
მისი შთამომავლები საფრანგეთში  
GIORGI ZHURULI AND  
HIS DESCENDANTS IN FRANCE**

**გიორგი სოსიაშვილი**  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გორი, საქართველო

**Giorgi Sosiashvili**  
Gori State University  
Gori, Georgia

**ABSTRACT**

Durmishkhan Zhuruli and his wife Ketevan Namoradze had four children. Two of their sons, Luka and Andria, died at a young age. Nino Zhuruli was the wife of the famous military figure - Lieutenant General Ilia Makarashvili, and Giorgi Zhuruli (Durmishkhan's son) was the Minister of Trade, Industry and Finance of the Independent Republic of Georgia. Durmishkhan Zhuruli had a great desire for his son to have a military career, but Giorgi's heart was not inclined to military work. After graduating from the Cadet Corps in 1886, he refused to enter the school for military officers. With the support of his parents, Giorgi Zhuruli left for Europe, namely, to Paris, to study agronomy at the Mining Institute. After that, he continued his studies at the Petrovsko Razumovsky Academy in Moscow. During 1897-1903, Giorgi Zhuruli was a censor in the Caucasus Censorship Committee. Then, he worked in the ministry of Agriculture for three years. Giorgi Zhuruli had a close relationship with Ilia Chavchavadze. Giorgi Zhuruli worked in the self-governments of Batumi and, later, Tbilisi. He was the acting head of the city of Batumi during 1910-1913. Member of the Tbilisi City Council, member of the board, as well as chairman of the Finance Commission. As a real member, he was actively involved in the activities of the Society for the Spreading Literacy Among Georgians. In 1908-1910, he headed the Batumi branch of the board of the mentioned society. In 1917, he was part of the Council of Nationalities established with Ozakom. He was a member of the founding society of the Georgian University, as well as a member of the Georgian National Interparty Council. In May 1918, as an adviser to the Transcaucasian delegation, he participated in the Batumi Armistice Conference. He was invited as an expert who discussed the importance of maintaining Georgian control over Batumi. On May 26, 1918, during the period of the restoration of Georgia's state independence and the establishment of the Democratic Republic of Georgia, Giorgi Zhuruli was appointed to the position of Minister of Finance and Trade-Industry. He was holding this position until March 1919 when the founding assembly of Georgia recruited the government with the representative of the Social Democrats, who had won the elections. Its facsimile is recorded on the denominations of one-year treasury (5%) bonds of the

Democratic Republic of Georgia, which were issued in January 1919 to collect cash from the population. Since 1919, he headed the Tchiatura Black Stone Industrialists' Council, which funded a number of cultural projects in the country. In 1919-1920, Zhuruli headed the representative office of the Democratic Republic of Georgia, which negotiated with the command of the allied army stationed in Batumi. After the occupation of independent Georgia by Soviet Russia, on March 18, 1921, Giorgi Zhuruli went abroad from Batumi together with the Georgian government and finally settled in Europe.

Giorgi Zhuruli and Elene Muskhelishvili had only two sons - Konstantine and Durmishkhan Zhuruli, who have never cut ties with Georgia. This is confirmed by Konstantine's letter to his aunt Nino Zhuruli and cousin Irina Makarashvili which was sent from The Hague in 1925. He expressed great emotion because of missing Arbo, his native village, and asked his family members living in Georgia to send photos. Konstantine died in 1947, without leaving any heir.

Giorgi Zhuruli's second son Durmishkhan was in poor health and underwent several operations. He died in 1987 after a long illness. Durmishkhan Zhuruli was married to Hugete (1916-2003), with whom he had a daughter Catherine (1948). Named after her grandmother (Ketevan Namoradze-Zhuruli), Catherine married Patrick Desbo (born in 1947). Catherine and Patrick have two sons – Cedric (born in 1974) and Louis (born in 1977). Cedric was in his first marriage with Laura (born in 1974), with whom he had two children: Valentin and Timothy. And his second wife is Helen (born in 1981), with whom Cedric has one son, Clement, born in 2019. Cedric's brother Louis (born in 1977) is married to Audrey (born in 1982). They have four children: Logan, Manon, Nathan, and Thea. Cedric chose history as a profession. He graduated from Sorbonne University. At the end of the 1990s, Cedric Desbo traveled to Georgia with his parents, he also visited Zhuruli's native village of Arbo. The historical house on the verge of demolition, where the families of Zhuruli and Makarashvili lived, was captured in his photo.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სოფელი არბო, გიორგი ჟურული, ემიგრაცია.

**Keywords:** Democratic Republic of Georgia, Village Arbo, Giorgi Zhuruli, Emigration.

დურმიშხან ჟურულს და მის მეუღლეს ქეთევან ნამორაძეს ოთხი შვილი ჰყავდათ. მათგან ორი ვაჟი – ლუკა და ანდრია ადრეულ ასაკში გარდაეცვალათ. საფრანგეთში ემიგრაციაში მყოფი დურმიშხან ჟურულის შვილიშვილი მიხეილ მაქარაშვილი იგონებს: „ჩემს ბებიას და ბაბუას ოთხი შვილი ჰყავდათ. ორი ბიჭი პატარაობისას მოუკვდათ. დარჩნენ მხოლოდ დედაჩემი და ბიძაჩემი გიორგი, რომელიც დედაზე ერთი წლით იყო უმცროსი“ (ნაცვლიშვილი 1992: 8). ნინო დურმიშხანის ასული ჟურული, ცნობილი სამხედრო მოღვაწის – გენერალ-ლეიტენანტ ილია საყვარელას ძე მაქარაშვილის მეუღლე იყო, ხოლო ვაჟი გიორგი ჟურული – საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა

მინისტრი. დურმიშხან ჟურულს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ თავის ვაჟს სამხედრო კარიერა შეექმნა, თუმცა გიორგის გული სამხედრო საქმისკენ არ მიუწევდა. მან 1886 წელს, კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, სამხედრო საოფიცრო სკოლაში შესვლაზე უარი განაცხადა. მშობლების ხელშეწყობით გიორგი ჟურული ევროპაში, კერძოდ პარიზში, გაემგზავრა, რათა სამთო ინსტიტუტში აგრონომია შეესწავლა. ამის შემდეგ სწავლა მოსკოვში პეტროვსკო რაზუმოვსკის აკადემიაში გააგრძელა (შარაძე 1986: 162-163). შვილის აღნიშნულ სასწავლებელში მოსახვედრად დურმიშხან ჟურულმა 1888 წელს შუამდგომლობა სთხოვა დიდ მთავარს – მიხეილ ნიკოლოზის ძეს (ფონდი Ia). მოსკოვის სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1893 წელს, გიორგი ჟურული სამი ქართული საზოგადოების წევრად აირჩიეს: ქართულ სასკოლო კომიტეტში, ბანკში – ზედამხედველი კომიტეტში და დრამატიული საზოგადოების გამგეობაში (შარაძე 1986: 164). აკაკი წერეთელს გიორგი ჟურულზე საოხუნჯო სიტყვები დაუწერია: „ჟურული, აუცილებელი წევრი ქართული დაწესებულებების ყველა კომიტეტისო“ (შარაძე 1986: 164). 1897-1903 წლებში გიორგი ჟურული იყო ცენზორი კავკასიის საცენზურო კომიტეტში. ამის შემდეგ მუშაობდა სამიწათმოქმედო სამინისტროში. გიორგი ჟურულს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან (ქიტიავილი 2013: 32). აი, როგორ იხსენებს ილია ჭავჭავაძის ნახვის წუთებს მომავალი სახელმწიფო მოღვაწე: „პირველად ილია ვნახე ამ 55 წლის წინად, ასე 1881-1882 წლებში. მე მაშინ მესამე თუ მეოთხე კლასის შეგირდი ვიყავი ტფილისის კადეტთა კორპუსში. მამაჩემი ჩემს სანახავად ჩამოვიდა ბათუმიდან ტფილისში და ჩვეულებისამებრ ჯერ სიონის საყდარში წამიყვანა და იქვე ეზოში მცხოვრებ, მხცოვან ალექსანდრე ეპისკოპოზთან<sup>1</sup> მიმიყვანა და დამალოცვინა, მერმე გავუარეთ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას, სადაც მამამ მოიკითხა ჟურულიანთ გვარის რაღაც ძველი სიგელის<sup>2</sup> ამბავი“ (შარაძე 1986: 157). აქედან დურმიშხან ჟურულს თავისი ვაჟი სასკოლო საზოგადოების კრებაზე წაუყვანია, რომელიც ქართული სათავადაზნაურო სკოლის შენობაში იმართებოდა. გიორგი ჟურული წერს: „ავიხედე ზევით, ესტადისაკენ; იქ სამი კაცი იჯდა მაგიდასთან და ერთი მათგანი იყო ზარს რომ გამმაგებით აჯანჯლავდა. მამა ჩემმა ამიხსნა – აი ის, შუაში რომ ზის, გენერალი კონსტანტინე მამაცაშვილია; აქეთ-იქით რომ უსხედან, ერთი ცხვედამეა<sup>3</sup> და მეორე გოგებაშვილი<sup>4</sup>. ეგენი მასწავლებლები არიანო“ (შარაძე 1986: 158). სწორედ ამ კრებაზე ნახა პირველად გიორგი ჟურულმა ილია: „მამა

<sup>1</sup> იგულისხმება ცნობილი სასულიერო მოღვაწე, სხვადასხვა დროს აფხაზეთის, ქართლ-კახეთის, გურიის, გურია-სამეგრელოს და გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე (1824-1907), რომელიც 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

<sup>2</sup> საუბარი ეხება 1460 წლით დათარიღებულ ჟურულების „სასისხლო სიგელს“. აღნიშნული სიგელი თედო ჟორდანიას გიორგი ჟურულის მამამ – დურმიშხან ჟურულმა გადასცა.

<sup>3</sup> იგულისხმება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი ნიკო ცხვედამე (1845-1911).

<sup>4</sup> იგულისხმება დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი (1840-1912).

ჩემმა წამყურჩულა: – ეგ არის, შვილო, ჩვენი მწერალი ილია ჭავჭავაძე; ყური კარგად დაუგდე“ (შარაძე 1986: 159; ჟურული 1937). გიორგი ჟურულს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ პუბლიცისტთან, მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწესთან – ივანე მაჩაბელთან, ასევე, ცნობილ ქართველ ბელეტრისტთან – ალექსანდრე ყაზბეგთან, როგორც გიორგი ჟურულის მიერ მამისადმი – დურმიშხან ჟურულისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, ივანე მაჩაბელი და ალექსანდრე ყაზბეგი ახლოს იცნობდნენ და ურთიერთობდნენ დურმიშხან ჟურულის ოჯახთან.

მამის სახელზე გაგზავნილ გიორგი ჟურულის წერილში ვკითხულობთ: „ჩემო სიცოცხლე მამა!

შენი წიგნი ეს არის მივიღე. სწორედ დღეს ვაპირებდი ერთი ტელეგრამა თქვენთვის მომეწერა და ერთი ჩვენებისთვის, რო წიგნს არ იწერებით, და მე სულ დამივიწყეთ. მაგრამ თქვენი კი მივიღე და იმითი კი არა. რაც მოვსულვარ ჯერ არ ვიცი რა იმითი და არც მოგწერ თუ პასუხი არ მომივიდა. მე შენ გელოდი დღეისთვისა. იმ დღეს ვნახე ისარალოვი (იგულისხმება ლუკა სტეფანეს ძე ისარალიშვილი /1814-1893/. ქართველი პოეტი, პუბლიცისტი, რუსეთის იმპერიის ცენზორი – გ.ს.) და მითხრა რო მამაშენი არ გამოდის სამსახურიდანაო. მართალია თუ არა მომწერეთ. მე შენი ჯავრი...<sup>5</sup> მქონდა. ამ სიცხეებში წარმოვიდგენდი თუ რა სიცივეში იქნებოდი, მეტადრე ამ დონდუკოვებმა თავი კი აღარ დაგანებს და? მე სულ კარგათა ვარ, თუმცა კი ვერა ვარ გასუქებული, მაგრამ მსუქანი როდის ვიყავი? იმ დღეს ვიყავი „დროების რედაქციაში“. ვანო მაჩაბელი გავიცანი, შენი ამბავი მკითხა. სანდრო ყაზბეგმა მოგიკითხეს. ჩემი ჯავრი ნუ გექნება რა. შენი გიორგი გენაცვალოს. ჩემი სწავლა მანამ ძლიერ კარგათ მიდის. ჩემ სწავლაზე ნუ სწუხართ. მე სწავლა ყოველთვის მიყვარდა-და ეხლა უფრო შემეყვარდა. მაგრამ ჩემი თხოვნა ეს იყო და არის კიდევ რო ნუ გამხდით ნურც ჩინოვნიკათ ნურც აფიცრათ, მხოლოდ გამხადეთ გიორგი ჟურულათ. ეხლა 25 ამთვესა რაღაც პარადი გვაქვს. გააკეთეს როტები, დანიშნეს ჟანდერ-ოფიცრები, მაგრამ მეკი შორს დავდექი არ მინდა მეთქი ეგეობა. ახლა ისინი ყოველდღე ორ-ორ საათს ტანჯულობენ და მეკი ვზივარ ჩუმად და ან შენ გელაპარაკები ამ წიგნით, ხან დედას, და სხვა. ეს არ სჯობდა?

შენი ერთგული შვილი გიორგი ჟურული“ (ფონდი Iბ).

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ჟურულს სამხედრო საქმე არ ხიბლავდა. იგი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. გიორგი ძალზე დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს. იგი ერთი წლის განმავლობაში „ივერიის“ რედაქციაში მუშაობდა. გიორგი ჟურული ილიასა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად შედიოდა იმ დელაგაციაში, რომელიც პეტერბურგში კავკასიიდან გაგზავნილ იქნა დეპუტატების არჩევის საკითხთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ „უმაღლესი კომისიის“ კრების თავმჯდომარის სოლსკის წინაშე ილია ჭავჭავაძემ ძალზე პრინციპული პოზიცია დაიკავა. როგორც გიორგი ჟურული იხსენებს, მეფის ხელისუფლებისაგან იგი კავკასიის მხარისადმი მეტ ყურადღებას მოითხოვდა (შარაძე 1986: 197-198). 1903

<sup>5</sup> ამ ადგილზე ერთი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ, სავარაუდოდ უნდა ეწეროს „სულ“.

წელს მომავალი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრად აირჩიეს.<sup>6</sup>

გიორგი ჟურული მოღვაწეობდა ბათუმის, შემდეგ თბილისის თვითმმართველობაში. იყო ბათუმის ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელი (1910-1913). თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი, გამგეობის წევრი, ასევე საფინანსო კომისიის თავმჯდომარე. როგორც ნამდვილი წევრი, აქტიურად იყო ჩართული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში. 1908-1910 წლებში იგი სათავეში ედგა აღნიშნული საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობას. 1917 წელს შედიოდა ოზაკომთან ჩამოყალიბებული ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში. იყო ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების, ასევე საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს წევრი. 1917 წლის ივნისში ედგ-ის დამფუძნებელ ყრილობაზე იგი ყრილობის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ აირჩიეს. ყრილობამ მოისმინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მისი მოხსენება „საქართველოს ფინანსები“ (ჯანელიძე 2002: 208). დელეგატებმა გაიზიარეს გ. ჟურულის თვალსაზრისი, რომ „საქართველოს ავტონომიის დამყარება და არსებობა ფინანსების მხრივ უზრუნველყოფილია“. გ. ჟურული არჩეულ იქნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად. მოგვიანებით იგი ედგ-ის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წევრი გახდა. 1917 წლის სექტემბერში გიორგი ჟურული იყო საქართველოს საეკლესიო კრების ერთ-ერთი თავმჯდომარე, კრების, რომელმაც აირჩია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II (1855-1918). იმავე წლის ნოემბერში იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი და აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის მაისში, როგორც ამიერკავკასიის დელეგაციის მრჩეველი, მონაწილეობდა ბათუმის საზავო კონფერენციაში. იგი აღნიშნულ კონფერენციაზე მიწვეული იყო როგორც ექსპერტი, რომელსაც კონფერენციის მონაწილეთათვის კონსულტაცია უნდა გაეწია ბათუმის ქართულ სივრცეში დარჩენის საკითხთან დაკავშირებით. გ. ჟურული ამის შესახებ წერს:

„ის საგანი, რომელსაც კონფერენციაზე უნდა შეხებოდა ჩემი ექსპერტობა, იყო ქ. ბათუმის საკითხი. არა ქართველთა წრეებში ჯერ მაშინ

<sup>6</sup> სწორედ აღნიშნულ პერიოდს ეხება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის წერილი, რომლის ადრესატი ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრი გიორგი ჟურულია. წერილში ვკითხულობთ:

„ღრმად პატივცემულო გიორგი დურმიშხანის ძე.

მოგმართავთ, როგორც ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრს და საზოგადო მოღვაწეს, ამ თხოვნით. მანდაურს თქვენს კრებულში დასრულდა ჩემი წერილის ბეჭდვა. მაგ წერილისათვის ჰონორარი მაქვს აღთქმული. გთხოვთ, თუ შეიძლება, ახლავე მომაწოდოთ ეს ჰონორარი იმ ვარაუდით, რომ მაგ წერილის შედგენას, როგორც მის გამოგზავნისათანავე ვაუწყებდი ნ. ს. დერჟავინს, მე მოვახმარე არა ნაკლებ 150-180 საათისა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მე სამსახურში აღარა ვარ და მაგვარი ჰონორარებით ვარჩენ ჩემს სახლობას, და ეს არის მიზეზი, რომ ამ თხოვნით პირდაპირ თქვენ მოგმართეთ. ფული კი ეხლა ჩემთვის ფრიად საჭიროა.

თქვენი ღრმა პატივისცემული მოსე ჯანაშვილი“ (ქარდავა 2019).

მოსე ჯანაშვილის 1904 წლის 25 აპრილით დათარიღებულ წერილში საუბარია კრებულზე „ბათუმი და მისი შემოგარენი“, რომელიც ბათუმის შემოერთების 25 წლისთავს ეძღვნებოდა (ქარდავა 2019).

გაისმოდა ხმები, რომ პატარა საქართველოს პროვინციების გასწვრივ, ისედაც საკმაოდ გრძელი ზღვის ნაპირია მოცემული, ისეთი პოსტებით, როგორიც ფოთი და სოხუმი და ამიტომ სულ ზედმეტია ბათუმის დაბრუნებისათვის თურქებთან შეჯახება და შეკამათება... თქმა არ უნდა, რომ ამნაირად კითხვის დაყენება ჩვენდამი უფრო არამეგობრულის გრძნობებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე სამართლიანობით; ისტორიული ფაქტების განგები მიჩქმალვით და ქართველების საარსებო ინტერესების არარად ჩაგდებით. ამის გამო აუცილებელი გახდა ქართველების მხრივ თავის გამოდება, რომ სწორი და მართებული ხაზი დაგვეცვა“ (ქურული 1938: 5).

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისას, გიორგი ქურულმა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტი დაიკავა. ამ თანამდებობაზე იგი 1919 წლის მარტამდე იყო,<sup>7</sup> ვიდრე საქართველოს დამფუძნებელი კრება მთავრობას არჩევნებში გამარჯვებული ერთი პარტიის – სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლებით დააკომპლექტებდა. მისი ფაქსიმილე დაფიქსირებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინო (5%-იანი) ერთწლიანი ვალდებულებების ნომინალებზე, რომლებიც 1919 წლის იანვარში მოსახლეობიდან ნაღდი ფულადი მასის ამოსაღებად გამოუშვეს (ჯავახიშვილი 1996). გ. ქურული 1917 წელს არჩეული იყო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის თავმჯდომარის მოადგილედ. 1919 წლიდან ხელმძღვანელობდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომელიც ქვეყანაში არსებულ არაერთ კულტურულ პროექტს აფინანსებდა (საქართველოს დამფუძნებელი კრება 2019ა: 404). სწორედ შავი ქვის წარმოებასთან დაკავშირებით გააკეთა გიორგი ქურულმა მოხსენება საქართველოს დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სხდომაზე. მოხსენებელი მრეწველთა საბჭოს სახელით ჭიათურის მარგანეცის ე.წ. საფუთო გადასახადის 3 კაპიკიდან 20 კაპიკამდე გაზრდას ითხოვდა. თუმცა სოციალ-დემოკრატებმა 1919 წლის ივლისში ჩატარებული დამფუძნებელი კრების სხდომაზე სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული მარგანეცის გადაზიდვაზე დაწესებული საფუთო გადასახადის გაზრდაზე უარი თქვეს და ტარიფის მხოლოდ 8 კაპიკამდე მომატებას დათანხმდნენ (იქვე: 405). 1920 წლის თებერვალში გიორგი ქურული დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრად აირჩია (საქართველოს დამფუძნებელი კრება 2019ბ: 247).

გ. ქურული 1919-1920 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობას, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ბათუმში განლაგებულ მოკავშირეთა არმიის სარდლობასთან. საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს, გიორგი ქურული საქართველოს მთავრობასთან ერთად ბათუმიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა და საბოლოოდ ევროპაში დამკვიდრდა. გიორგი ქურული ემიგრაციაშიც

<sup>7</sup> უცნობია, რა არგუმენტებზე დაყრდნობით აკეთებს 1918 წელს გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის შესახებ ასეთ შეფასებას: „გიორგი ქურული ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა და თავის ამოცანებს ვერ ასრულებდა“ (კრესენშტაინი 2002: 77).

აგრძელებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. 1922 წლის ივლისიდან 1924 წლის ივლისამდე თავმჯდომარეობდა ბერლინ-შარლოტენბურგში ოფიციალურად დარეგისტრირებულ ორგანიზაციას „ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება გერმანიაში“. დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი მინისტრი ცხოვრობდა პარიზში. ის იყო პარიზის ქართული სათვისტომოს პირველი თავმჯდომარე. საფრანგეთსა და გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ხშირად აწყობდნენ ქართველი მწერლების ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებს, აღნიშნავდნენ საიუბილეო თარიღებს. 1932 წლის 30 აგვისტოს გერმანიაში გამართულ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ასეთ საღამოზე გიორგი ჟურულმა წაიკითხა თავისი მოგონება „ილიასთან შორი-ახლოს დგომით“. ეს მოგონება პირველად გამოქვეყნდა პარიზში, ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში „ქართლოსი“ (1937, №7-8). გიორგი ჟურულის წერილები იბეჭდებოდა, აგრეთვე, ჟურნალებში: „ბედი ქართლისა“, „კავკასიონი“, „სამშობლო“. გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“ გიორგი ჟურული პერიოდულად აქვეყნებდა მასალებს აჭარის ისტორიიდან (მამის – დურმიშხან ჟურულის დღიურების მიხედვით), სახელწოდებით „ფურცლები რვეულიდან“ (ქართველები უცხოეთში – თ.გ.).

საფრანგეთში მყოფი გ. ჟურული შედიოდა რ. გაბაშვილის ჯგუფში, რომელიც 1926 წელს ემიგრაციაში პირველი გამოეყო ედპ-ს და გაზეთ „მამულიშვილის“ ირგვლივ დაჯგუფდა. გ. ჟურული, როგორც თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი მშენებელი, მძიმედ განიცდიდა ქვეყნის ოკუპაციას. ის 1930 წელს გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ დიდი ტკივილით წერდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის – 26 მაისის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ: „26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. საქართველოს მრავალფეროვან ისტორიაში 26 მაისი ბრწყინვალე დატათ ჩაიწერება. თორმეტი წლის წინათ ქართველმა ხალხმა დიდის ზეიმით იდღესასწაულა პირველი 26 მაისი. დღეს საქართველო იძულებული არის სიჩუმით ჩაატაროს თავის დიდი ეროვნული დღესასწაული. მოსკოვის ჯალათები არ ერიდებიან არავითარ სისასტიკეს, რომ ქართველ ხალხის სულში 26 მაისის იდეა სამუდამოდ ჩაჰკლან. მიუხედავად ამისა, საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერ ფესვებს იდგამს ხალხში და მისი საუკეთესო შვილები ათასობით შეეწირა 26 მაისის იდეას. დღესაც მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, განაგრძობს შეურიგებელ ბრძოლას მოსკოვის მოძალადეთა წინააღმდეგ. ამავე დროს ევროპის და ამერიკის პოლიტიკური მორალური თანაგრძნობა თან ახლავს საქართველოს სამართლიან საქმეს. სამაგიეროდ ბოლშევიკური რეჟიმის აღსასრული ახლოვდება. ამ რეჟიმმა ააოხრა და ნანგრევებად აქცია მთელი რუსეთი და კავკასია. ასეთი რეჟიმის შედეგად ჩვენ ხელში შეგვრჩება ქვეყანა სრულიად გადატაკებული ეკონომიურად, მოკლებული ყოველსავე სასიცოცხლო ძალას“ (ჟურული 1930: 4).

გ. ჟურულის კალამს ეკუთვნის არაერთი ნარკვევი, მათ შორის ეკონომიკური ეტიუდი: „ქართველი ერი, როგორც მშენებელი“<sup>8</sup> (შარაძე 2004: 52). 1933 წელს გამოქვეყნებულ აღნიშნულ ნაშრომში გ. ჟურულს

<sup>8</sup> სწორედ ამ ნაშრომის შესაქმნელად ესაჭიროებოდა ემიგრაციაში მყოფ გიორგი ჟურულს სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება საქართველოდან, რის გამოც ერთ-ერთ წერილში თხოვნით მიმართა თავისი დისშვილის მეუღლეს - ანატოლი

განხილული აქვს იმჟამინდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. საბჭოურ რუტინაში მოქცეული ჩამორჩენილი და მიწებგასხვისებული ქვეყნის განვითარების პერსპექტივას დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი მინისტრი სწორ ეკონომიკურ გათვლებსა და სტრატეგიულ დაგეგმარებაში ხედავდა და არა მეცნიერულ საფუძვლებსა და კვლევით ანალიზს მოკლებულ ფსევდოხედვაში, რომელიც თანამედროვე ევროპული ეკონომიკური სივრცისაგან შორს მყოფ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებდა (სამშობლო 1933: 7).

გ. ჟურულმა 1934-1936 წლებში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, სადაც მრავალი არგუმენტით ასაბუთებდა კავკასიის კონფედერაციის შექმნის აუცილებლობას, რათა აღნიშნულ რეგიონში მცხოვრებ მცირე ერებს რუსეთის აგრესიისაგან თავი გადაერჩინათ. გ. ჟურული წერს: „მთელი 117 წელიწადი განწირული იყო ჩვენი მხარე რუსეთის ჩასაყლაპავად და თუ კავკასიის ერები ერთობას არ ჩამოვაგდებთ, კვლავაც ასე იქნება“ (ჟურული 1934).<sup>9</sup>

გიორგი ჟურული ოჯახთან ერთად პარიზში ცხოვრობდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ემიგრაციაში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებთან, მათ შორის: გრიგოლ რობაქიძესთან, გრიგოლ დიასამიძესთან, მიხაკო წერეთელთან, თამარ და აკაკი პაპაევებთან, მიხეილ ყაუხჩიშვილთან. გიორგი ჟურულის მიერ პაპაევებისადმი მიწერილი წერილებიდან ირკვევა, რომ მისთვის წიგნები გაუგზავნია ევროპაში აღიარებულ ქართველ მწერალს გრიგოლ რობაქიძეს. გერმანიაში მცხოვრებ მიხეილ ყაუხჩიშვილს, რომელიც კარლსრუეს უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, დახმარება გაუწევია გიორგი ჟურულის ვაჟისთვის – კონსტანტინე (კოტე) ჟურულისთვის.<sup>10</sup>

ემიგრაციაში მყოფი გიორგი ჟურული ხელმოკლედ ცხოვრობდა. როგორც თამარ და აკაკი პაპაევებისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, იგი ტრეტიაკოვის გალერეის ფოტოალბომის გაყიდვას აპირებდა.<sup>11</sup> უცხოეთში გადახვეწილი ქართველი მოღვაწისადმი განსაკუთრებულ რელიკვიას წარმოადგენდა დედისეული რვეული, რომელსაც იგი სათუთად ინახავდა. მისი ოჯახის არცთუ სახარბიელო მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ერთ-ერთი ვაჟის – დურმიშხანის ავადმყოფობა, რომელიც ხანგრძლივად მკურნალობდა.

საფრანგეთში მყოფ პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრებსა და მათთან ერთად ემიგრაციაში წასულ ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორის რიგ საკითხებზე უთანხმოება არსებობდა. 1941 წლის მარტის დასაწყისში საქართველოს მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანიას შეეცადა დაპირისპირებული მხარეები საერთო თათბირზე შეეხვედრებინა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს შეხვედრა მხოლოდ ერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე ჩატარდა, რასაც ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან მწვავე პროტესტი მოჰყვა. თათბირის ორგანიზატორების – ნოე ჟორდანიას და ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ სპ. კედიამ, ი. ხოჭოლავამ, იოს. გობეჩიამ,

კიზირიას (იხ. დანართი №1).

<sup>9</sup> წერილის გაგრძელება იხ.: ჟურული 1935ა; ჟურული 1935ბ; ჟურული 1936.

<sup>10</sup> დანართი №1.

<sup>11</sup> დანართი №1.

გიორგი კერესელიძემ, სვიმონ ციციშვილმა, აპოლონ კობახიძემ, ელ. პატარიძემ მიმართვა გაავრცელეს. როგორც აღნიშნული წერილიდან ირკვევა, საფრანგეთში მცხოვრები დაქსაქსული ემიგრაცია 2 მარტის შეხვედრას დიდი იმედით ელოდა. მათ ეგონათ, რომ ვიწრო პარტიული დაპირისპირება გვერდზე გადაიდებოდა და მთავარი საზრუნავი უიმედობასა და მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში ჩავარდნილ სამშობლოზე ფიქრი გახდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ თათბირმა ქართველ მოღვაწეთა დიდ ნაწილს იმედები გაუცრუა. მიმართვაში ვკითხულობთ: „ჩვენ მას (საუბარია 2 მარტის შეხვედრაზე – გ.ს.) დიდის იმედით მივეგებეთ. ემიგრანტობის ოცი წლის სიგრძეზე, პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჩვენი ორი ყოფილი უმაღლესი ეროვნული ორგანოს – მთავრობისა და დამფუძნებელი კრების – წარმომადგენლებმა საჭიროდ სცნეს დაემახნათ, საქართველოს ბედის საკითხებზე მოსალაპარაკებლად, ძველი პოლიტიკური კადრის გარეშემდგომ ქართველებისათვისაც. ჩვენ ეს უჩვეულო მოვლენა, სრულიად ბუნებრივად, მივიჩნიეთ, როგორც ღრმა სულიერი გარდაქმნის შედეგი იმ წრეებისა, რომლებიც დღემდე აქ, ემიგრაციაში, ქართულ სახელსა და ქართულ საქმეს დაჩემებით და სხვებთან გაუზიარებლად, ჯგუფურად ისაკუთრებდნენ... ჩვენ ასე გავიგეთ თქვენი თაოსნობა, ასე განვმარტეთ ჩვენი მიწვევის აზრიცა და ამიტომ დიდის იმედითა და აზრთა სიცხოვლით მივეტანეთ ორ მარტის თათბირს. მაგრამ ვაგლახ! იმან რაც ამ თათბირზე ვნახეთ და მოვისმინეთ, მიწასთან გაასწორა ჩვენი განმარტებაცა და ჩვენი სამართლიანი მოლოდინიც და სხდომიდან ყველანი უიმედოდ გამოგვისტუმრა. ჩვენი თაოსნობაც სულ სხვა განზრახვად მოგვაჩვენა. პირველივე წუთიდან გამოირკვა, რომ მთელი სხდომა საეჭვო სისწრაფის ტერორის ქვეშ უნდა ჩატარებულიყო... იქნებ თქვენ თავიც გქონდათ მობეზრებული ამ საგნის შესახებ ხშირი ბჭობითა და ყველაფერი წინასწარ გქონდათ მოფიქრებული. მაგრამ ჩვენ? ჩვენ ხომ პირველად ვიყავით თქვენთან შეკრებილი საქართველოს სვე-ბედზე სათათბიროდ ამ კაცობრიობის ისტორიის საბედისწერო წუთებში. და ყველაფერი, როგორც თვით საგნის სიმაღლე და სიდიადე, ისე დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის ტრადიკული შინაარსი ნუთუ იმას არ გვავალებდა, რომ მთელი ჩვენი გულისყური და გონების ძალა ამ საკითხის ფრთხილს, აუჩქარებელსა და ამომწურავ გარჩევას მისძღვნოდა? კრების სისწრაფით წაყვანის ძალადობამ კი ეს ჩვენთვის შეუძლებელი გახადა და მთელს თქვენ მიერ წამოწყებულ საქმეს ერთბაშად ფასი დაეკარგა... ამრიგად ჩვენ მოვტყუვდით... ჩვენ გვეგონა, რომ თქვენ ეროვნული გასაჭირიდან გამოსავლის გზებს ეძებდით და მოგვიწოდებდით, რომ ყველანი მოგშველდით... ჩვენ კი დავინახეთ, რომ თათბირზე უფრო ჯგუფური კრიზისიდან გამოსვლის ძებნა იყო და დამსწრენიც ამისთვის ვიყავით გამოყენებული. დავინახეთ ძველი სულისკვეთება, ძველი ხერხი და მეთოდი, მთელი ის ინვენტარი წყეული ემიგრანტული „პოლიტიკური მოღვაწეობისა“, რომელიც ეს ოცი წელია ჰდუპავს ქართულ საქმეს და ამცირებს საქართველოს ღირსებას. ეს არ არის ქართული საქმე. მსგავსი მოქმედება თუ ქვეყნისთვის ყოველთვის მავნებელია და არასოდეს გასამართლებელი, დღევანდელს სამინაო და საგარეო პირობებში იგი ეროვნული მოვალეობის ღალატია. ასეთი საქმის მონაწილედ ჩვენ ვერ

გავხდებით და ამიტომ ვერც „ეროვნულ საბჭოს“ წევრად დავრჩებით. ზოგმა ჩვენგანმა ეს აზრი სიტყვიერად თუ წერილობით უკვე მოგახსენათ. დღეს კი ჩვენ ყველანი მათთან ერთად გაცნობებთ ჩვენს საერთო დაფასებას. ეს დაფასება მკაცრად უარყოფითია და სხვანაირად ვერც იქნებოდა, რაკი იგი გამოსულია წმინდა ეროვნული საფუძვლებიდან. დრო და საგანი მოითხოვს, რომ ჩვენი აზრი პირდაპირ და გულახდით ვსთქვათ. ეს ჩვენი მოვალეობაა ქვეყნის წინაშე, ისე როგორც თქვენი მოვალეობაა დიდხანს არ შეიგვიანოთ ამ ყალბ პოზიციაზედ, ვინაიდან იგი, როგორც ჯგუფური ბატონობის იარაღი, სათავეა მთელი ქართული საქმის დამღუპველ მოვლენებისა...”

ამ შეხვედრას არ დასწრებია, თუმცა მიმართვის ავტორების პათოსს სრულიად იზიარებდა გიორგი ჟურული. იგი წერდა: „როგორც არ დამსწრე 2 მარტის კრებისას ვერ შევალ მისი ჩატარების ფართო კრიტიკაში, მხოლოდ გულისტკივილით ვხედავ, რომ მოზრდილი ნაწილი კრებისა უკმაყოფილოა მისი შედეგებით, რაც უთუოდ შეუშლის ხელს ნამდვილ გაერთებას. ამიტომ ვიზიარებ აქ გამოთქმულ აზრს, რომ შეთანხმებისათვის უნდა იყოს მიღებული საჭირო ზომები“ (მასალები... 2007: 191-194). გიორგი ჟურული 1951 წლის 9 სექტემბერს (სხვა ცნობით 12 სექტემბერს) გარდაიცვალა (შარაძე 2004: 51). დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე მეუღლესთან – ელენე მუსხელიშვილ-ჟურულთან (1879-1974) ერთად.<sup>12</sup>

გ. ჟურულის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ განცხადება გაავრცელა ჟურნალმა „ბედი ქართლისა“. განცხადების თანახმად, ლევილის სასაფლაოზე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესთან გამოსათხოვარი სიტყვები წარმოუთქვამთ ემიგრაციაში მოღვაწე ქართველებს: კონსტანტინე კანდე-ლაკს, ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეს შალვა აბდუშელიშვილს და მიხეილ ჩუბინიძეს. „ბედი ქართლისა“ იუწყებოდა, რომ მომდევნო ნომერში გიორგი ჟურულისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი დაიბეჭდებოდა (ბედი ქართლისა 1951: 32). გიორგი ჟურულისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო წერილი გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი დროშა“, სადაც ვკითხულობთ: „გიორგი ჟურულს, აღჭურვილს ფართო რუსულ და ევროპიულ განათლებით, თბილისის მაღალ საზოგადოებაში კარგად მიღებულს, ბრწყინვალე კარიერა მოელოდა თავის დროზე რუსის სახელმწიფოს სამსახურში; მაგრამ ჩინოვნიკის ნივთიერად უზრუნველყოფილს და დამშვიდებულ ცხოვრებას, მან ამჯობინა ქართველ საზოგადო მოღვაწის ეკლიანი გზა და მოუსვენარი

<sup>12</sup> გიორგი ჟურულის ბიოგრაფიული ცნობები მოყვანილია ო. ჯანელიძის ნაშრომიდან: გიორგი ჟურული (ენციკლოპედია-ლექსიკონი 2018: 323; სოსიაშვილი 2020: 41-49).

გიორგი ჟურულის თანამეცხედრე იყო ელენე მუსხელიშვილი-ჟურულისა. სავარაუდოდ, გიორგი ჟურულის მეუღლე იხსენიება 1901 წელს გაზ. „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში, რომლის მიხედვით ელენე მუსხელიშვილმა (გვარი ასეთი ფორმით არის მოხსენიებული) თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დასრულების შემდეგ „შინაური მასწავლებლის ხარისხი“ მოიპოვა (ცნობის ფურცელი 1901: 1). ელენე გიორგის ასული მუსხელიშვილი-ჟურულისა იხსენიება გიორგი ჟურულის დისშვილის, 1918 წელს შამქორში უდროოდ დაღუპული ნიკოლოზ მაქარაშვილის ნეკროლოგში, რომელიც 1918 წელს არის გამოქვეყნებული გაზ. „ერთობის“ ფურცლებზე. გიორგი ჟურულის მეუღლის ელენეს სახელზე 1918 წლის დოკუმენტის მიხედვით, სოფელ არბოში მიწის ნაკვეთი იყო რეგისტრირებული (ფონდი Iგ).

ცხოვრება... საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადეს, გ. ჟურულმა აქაც ამჯობინა დაწყნარებულ ცხოვრებას და უპასუხისმგებლო კრიტიკოსის როლში დარჩენას, მეტად მძიმე მოვალეობის ხელში აღება, ქვეყნის მეტად საპასუხისმგებო და უმადურ სამსახურის სათავეში ჩადგომა: განსვენებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. საპარლამენტო წრეებში, კოალიციურ მთავრობაში, მეზობლებთან და უცხოელებთან მოლაპარაკებაში, თავის გამოცდილებით და უდიდეს ლოიალობით იგი მუდამ საყოველთაო ნდობას და პატივისცემას იმსახურებდა. დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ გ. ჟურული ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ხელმძღვანელობდა; აქ მოუსწრო მას ოკუპაციამ და ოკუპანტებმა მოინდომეს მისი ცოდნის და გამოცდილების ამ საქმეში გამოყენება; მაგრამ განსვენებულმა ახლაც ნივთიერად უზრუნველყოფილ ადგილზე ხელი აიღო, უცხოეთში დარჩა და ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციის მწარე ხვედრი გაიზიარა... ჩვენ, მთელ ქართულ საზოგადოებასთან ერთად, ღრმა პატივისცემით მოვიგონებთ გიორგი ჟურულს, როგორც დიდს კულტურულ ქართველს, ლოიალურ პოლიტიკურ მოღვაწეს და თანამებრძოლს საქართველოს უდიდეს საპასუხისმგებო ხანაში“ (ჩვენი დროშა 1951: 43-44; შარაძე 2004: 52).

1952 წლის თებერვალში ემიგრაციაში გარდაცვლილ მოღვაწეებს – ვახტანგ ღამბაშიძეს და გიორგი ჟურულს მოგონება მიუძღვნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდულმა გამოცემამ „ივერია“: „1951 წელი, ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისი, საბედისწერო აღმოჩნდა ქართული ემიგრაციის მოხუცთა და ხანშიშესულთათვის. მრავალთა შორის, ღვთის ნებით გარდაიცვალენ, ერისა და ისტორიის წინაშე ფრიად დამსახურებულნი, ქართველთათვის ძვირფასნი და საყვარელნი, ექიმი ვახ. ღამბაშიძე და გიორგი ჟურული. ეს ორი ღირსეული ქართველი, ეკუთვნოდნენ მესამოციანთა და მეოთხმოციანთა წლების დიდ ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ დასს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, უდიდესი ეროვნული შეგნებით, სიყვარულით, დაუშრეტელი ენერგიით და ძლიერი ნებისყოფით გამოაღვიძა-გააცოცხლა და ფეხზე დააყენა, ქართული ეროვნული ცხოვრების მიძინებული და მიმკვდარი ყოველი დარგი, სულიერი თუ მატერიალური. მათ ხშირად და ხანგძლივად ბევრი საპასუხისმგებლო და საპატიო თანამდებობა ეჭირათ საქართველოში თუ ემიგრაციაში და მათი კეთილი ცხოვრების დასასრულამდე შესაფერისად ემსახურებოდნენ მათ საყვარელ ქვეყანასა და ერს. მათი სახით ემიგრაციამ დაჰკარგა იმ დიდი ეროვნულ მოღვაწეთა დასის უკანასკნელნი წარმომადგენელნი. თანაგრძნობას უცხადებთ მათი ოჯახის წევრებს და ქართულ საზოგადოებას. მუხლს ვიდრეკთ და სამშობლოს ზეცას ვავედრებთ მათ სულს“ (ივერია 1952: 44-45).

გიორგი ჟურულსა და ელენე მუსხელიშვილს ორი ვაჟი დარჩათ – კონსტანტინე და დურმიშხან ჟურულები. მათ საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. ამას ადასტურებს კონსტანტინეს მიერ მამიდის – ნინო ჟურულის და მამიდაშვილის – ირინა მაქარაშვილის სახელზე ჰააგიდან 1925 წელს გამოგზავნილი წერილი. იგი დიდ ემოციას გამოხატავდა მშობლიური სოფლის – არბოს მონატრების გამო და საქართველოში მცხოვრებ ოჯახის

წევრებს ფოტოსურათების გაგზავნას თხოვდა (ფონდი Iდ). კონსტანტინე 1947 წელს გარდაიცვალა, მას მემკვიდრე არ დარჩენია (თელია 1998: 2).

სამშობლოსთან კავშირი არ გაუწყვეტია გიორგი ჟურულის მეორე ვაჟს – დურმიშხანსაც. მას სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა და რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა. 1934 წელს დურმიშხანმა მამიდაშვილს – ირინა მაქარაშვილს წერილი საფრანგეთის ერთ-ერთი სანატორიუმიდან გამოუგზავნა. როგორც წერილიდან ირკვევა, პაპის მოსახელე დურმიშხანი მშობლიურ ქვეყანაზე უზომოდ იყო შეყვარებული. საქართველოდან ირინა მაქარაშვილს ბიძაშვილისათვის საჩუქრად გაუგზავნია მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „არსენა მარაბდელი“ (ფონდი Iდ). გიორგი ჟურულის ვაჟის – დურმიშხანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკურნალობის მიუხედავად არ იცვლებოდა. იგი ხანგრძლივ რეაბილიტაციას საჭიროებდა და სანატორიუმში უძრავად იწვა. შვილის ჯანმრთელობის შერყევას გიორგი ჟურული ძალიან განიცდიდა, რასაც ადასტურებს მისი ერთ-ერთი წერილი, რომელიც გერმანიაში მცხოვრებ თამარ და აკაკი პაპაშვილებს გაუგზავნა. სწორედ აქედან ირკვევა, რომ მკურნალობის დროს დურმიშხანს საქართველოს ისტორია კარგად შეუსწავლია და ფრანგულ ენაზე მშობლიური ქვეყნის წარსულის შესახებ წიგნიც შეუდგენია. ამის შესახებ გიორგი ჟურულის წერილში ვკითხულობთ: „რობაქიმესთან<sup>13</sup> ცოტა პირშავად დავრჩი, რადგან პასუხი და მადლობა ვერ გავუგზავნე იმ წიგნისათვის, რომელიც გამომიგზავნა... ვერ მივწერე, რადგან სწორედ იმ დროს ხელმეორედ ავად გამიხდა ჩემი დურმიშხანი და აღარა მიხაროდა რა. ისევ იმ სანატორიაშია, სადაც მომავალ 1939 წლის იანვრამდე უნდა იწვეს. ივნისში ოპერაციას გაუკეთებენ და ამისთვის ამზადებენ წარმოიდგინეთ, 4-5 წელიწადი უხდება უძრავად წოლა. საქართველოს ისტორიის შესწავლამ გაიტაცა და მრავალი მასალები წაიღო თან. ახლა მწერს, რომ ფრანგულად უკვე შეადგინა „Histoire de Georgien.“ ზოგი წამაკითხა და ვფიქრობ, კარგის ენით არის დაწერილი“ (არქივი, №128-129; თელია 1998: 2).

დურმიშხან ჟურული ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1987 წელს, გარდაიცვალა. დურმიშხან ჟურულს ცოლად ჰყავდა ჰუგეტე (1916-2003) რომელთანაც ქალიშვილი ქეთრინი შეეძინა (1948). ბებიის (ქეთევან ნამორაძე-ჟურულისა) მოსახელე ქეთრინი ცოლად გაჰყვა პატრიკ დესბოს (დაბ. 1947 წ.).<sup>14</sup> ქეთრინსა და პატრიკს ორი ვაჟი ჰყავთ: სედრიკი (დაბ. 1974 წ.) და ლუი (დაბ. 1977 წ.). სედრიკი პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა ლაურასთან (დაბ. 1974 წ.), რომელთანაც ორი შვილი შეეძინა: ვალენტინი და ტიმოთი. მისი მეორე მეუღლეა ჰელენი (დაბ. 1981 წ.), რომელთანაც სედრიკს ერთი ვაჟი, 2019 წელს დაბადებული კლემენტი ჰყავს. სედრიკის მმა ლუი (დაბ. 1977 წ.) დაქორწინებულია აუდრეიზე (დაბ. 1982 წ.). მათ ოთხი შვილი ჰყავთ: ლოგანი, მანონი, ნათანი და თეა. სედრიკმა ისტორიის პროფესია აირჩია. მან სორბონას უნივერსიტეტი დაასრულა. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სედრიკ დესბომ მშობლებთან ერთად საქართველოში იმოგზაურა, მოინახულა ჟურულების მშობლიური სოფელი არბოც. ფოტოზე აღბეჭდა

<sup>13</sup> იგულისხმება დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე (1880-1962)

<sup>14</sup> აღსანიშნავია, რომ დურმიშხან ჟურულს უცნობ ქალთან ვაჟიც ჰყავდა - მიხეილი (მიშელი) (1927-2019), რომელიც ხუთი შვილის (მარი, ვენსანი, ქრისტოფი, სელინი და ედუარდი) მამა იყო.

დანგრევის პირას არსებული ისტორიული სახლი, სადაც ჟურულებისა და მაქარაშვილების ოჯახები ცხოვრობდნენ. სედრიკ სურვილი აქვს თავისი დიდი პაპის – სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ქართველი მოღვაწის გიორგი ჟურულის არქივი შეისწავლოს და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის უცნობი ფურცლები გააცოცხლოს (თელია 1998: 2).

საფრანგეთში მცხოვრებ სედრიკ დესბოს რამდენჯერმე დავეკონ-ტაქტეთ. მას ძალზე გაუხარდა, როდესაც შეიტყო ჟურულებისა და მაქარაშვილების ოჯახების ისტორიით ჩვენი დაინტერესების შესახებ. მოგვაწოდა საოჯახო ალბომში დაცული რამდენიმე ფოტო და ჟურულების გვარის გენეალოგია. ჩვენი ურთიერთობა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მჭიდრო ხასიათს შეიძენს და გიორგი ჟურულის (ასევე მისი ოჯახის წევრების) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გაცილებით მეტი დაიწერება.

### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

**არქივი:** კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თამარ და აკაკი პაპაშვილის არქივი. №128-129.

**ბედი ქართლისა 1951:** კრებული „ბედი ქართლისა“. №10, სექტემბერი. პარიზი, 1951.

**ენციკლოპედია 1997:** ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. I, თბილისი, 1997.

**ენციკლოპედია-ლექსიკონი 2018:** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი, 2018.

**თელია 1998:** თელია ლ., ყველა გზა სამშობლოსკენ მოდის. გაზეთი „სამშობლო“, №3(25)833. აპრილი. 1998.

**ივერია 1952:** ჟურნალი „ივერია“. №4. თებერვალი. პარიზი, 1952.

**კრესენშტაინი 2002:** კრესენშტაინი ფ. კ., ჩემი მისია კავკასიაში. ქუთაისი, 2002.

**მასალები... 2007:** მასალები სპირიდონ კედიას პირადი არქივიდან. შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ. თბილისი, 2007.

**ნაცვლიშვილი 1992:** ნაცვლიშვილი პ., არბო, პარიზი, ლიმა, არბო... გაზეთი „სამშობლო“, მაისი. 1992.

**ჟურული 1930:** ჟურული გ., დიდი 26 მაისის ფესვები. გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“. №53. პარიზი, 1930.

**ჟურული 1934:** ჟურული გ., კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ. გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №116. პარიზი, 1934.

**ჟურული 1935ა:** ჟურული გ., კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ. გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №117, პარიზი, 1935.

**ჟურული 1935ბ:** ჟურული გ., კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ. გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №120, პარიზი, 1935.

**ჟურული 1936:** ჟურული გ., კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ. გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №121, პარიზი, 1936.

**ჟურული 1937:** ჟურული გ., ილიასთან შორი-ახლოს დგომით (ფურცლები ჩემი თავგადასავლის რვეულიდან). ჟურნალი „ქართლოსი“, №21-22, პარიზი, 1937.

**ჟურული 1938:** ჟურული გ., ბათუმ-აჭარის მხარეები (ფურცლები რვეულიდან). გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №145. 1938.

**სამშობლო 1933:** გაზეთი „სამშობლო“. №14, პარიზი, 1933.

**საქართველოს დამფუძნებელი კრება 2019ა:** საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. II. 1919 წლის 30 მაისი – 25 ივლისი, თბილისი, 2019.

**საქართველოს დამფუძნებელი კრება 2019ბ:** საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. V. 1920 წლის 14 იანვარი – 16 მარტი, თბილისი, 2019.

**სოსიაშვილი 2020:** სოსიაშვილი გ., დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ფინანსთა მინისტრის გიორგი ჟურულის ოჯახი და სოფელი არბო. ჟურნალი „ისტორიანი“, №5(113), 2020.

**ფონდი Ia:** საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი. ფონდი I. საქმე 135. ხ. 42742.

**ფონდი Ib:** საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი. ფონდი I. საქმე 135. ხ. 38. 491.

**ფონდი Ic:** საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი. ფონდი I. საქმე 135. ხ. 38495.

**ფონდი Id:** საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი. ფონდი I. საქმე 135. ხ. 42763.

**ქარდავა 2019:** ქარდავა ფ., მთაწმინდის კაცის წერილი. 2019. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?g-tid=720442&gid=2#.YuIrXVxByM8>

**ქართველები უცხოეთში თ.გ.:** ქართველები უცხოეთში თ.გ., გიორგი ჟურული. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000401/>

**ქიტიაშვილი 2013:** ქიტიაშვილი ნ., გიორგი ჟურული – ილიას მეგობარი და თანამოაზრე. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის თანამშრომელთა სამეცნიერო შრომების კრებული. II. თბილისი, 2013.

**შარაძე 1986:** შარაძე გ., საქართველოს მზე და სიყვარული ალბომის კუნძულზე. თბილისი, 1986.

**შარაძე 1991:** შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. I. თბილისი, 1991.

**შარაძე 2004:** შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. V. თბილისი, 2004.

**ჩვენი დროშა 1951:** ჟურნალი „ჩვენი დროშა“. №10. სექტემბერი, პარიზი, 1951.

**ცნობის ფურცელი 1901:** გაზეთი „ცნობის ფურცელი“. №1491, 1901.

**ჯავახიშვილი 1996:** ჯავახიშვილი ნ., ქართული ბონისტიკა, თბილისი, 1996.

**ჯანელიძე 2002:** ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბილისი, 2002.

### დანართი №1

**გიორგი ჟურულის წერილი თამარ პაპავასადმი** (ხელნაწერი, ქართული ენაზე. წერილი გაგზავნილია პარიზიდან 1937 წლის 5 ოქტომბერს, სავარაუდოდ, ბერლინში. თამარ და აკაკი პაპავეები ამ დროს გერმანიაში ცხოვრობდნენ) (შარაძე 1991: 243).

დიდად პატივცემულო ბატონო თამარ!

ულრმესი მადლობა თქვენი მშვენიერი წიგნისთვის. თქვენს ნაწერებს ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე და, თქმა არ უნდა, კვლავ ვისიამოვნებ, კვლავაც და კვლავაც! ძალიან მიხარის, რომ შემდეგშიც აპირებთ ამ სასარგებლო მუშაობას და მით გაამდიდრებთ ჩვენ ისტორიოგრაფიულ მწიგნობრობას. ყველაზე-კი უფრო გასახარის ის არის, რომ ქართველი ქალი კვლავ დასდგომია ძველსა გზასა, ჩვენი სამშობლოს სამსახურისათვის და მის სადიდებლად.

თქვენი ულრმესად პატივისცემელი გიორგი ჟურული.

/კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თამარ და აკაკი პაპავეების არქივი, №128/.

**გიორგი ჟურულის წერილი თამარ და აკაკი პაპავეებისადმი** (ხელნაწერი, ქართული ენაზე. წერილი გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში, 1937 წლის 29 დეკემბერს. წერილს პირველი გვერდის დასაწყისში, მარჯვენა კუთხეში, აქვს მინაწერი: „აკაკი, დიდად დამავალბეთ თუ მიხ. ყაუხჩიშვილის<sup>15</sup> მისამართს მომაწოდებთ. ერთ დროს კარგი საქმე მოუხერხა ჩემს ვაჟს კოტეს. არ ვივიწყებ).

ჩვენი ოჯახიც გილოცავთ წარსულ შობას და მომავალ ახალწელიწადს, როგორც თქვენ, აგრეთვე თქვენს შვილებს. ვინც ჩვენ საერთო მეგობრებს შეხვდეთ მათაც მივესალმებით. გ. რობაქიძეს,<sup>16</sup> მიხაკო წერეთელს,<sup>17</sup> გიგო დიასამიძეს<sup>18</sup> და ლადოს<sup>19</sup> და სხვ. რობაქიძესთან ცოტა პირშავად დავრჩი, რადგან პასუხი და მადლობა ვერ გამოუგზავნე იმ წიგნებისათვის, რომელიც გამოგვიგზავნა (?) ჩემმა ვაჟებმა დიდის სიამოვნებით წაიკითხეს. ვერ მივწერე, რადგან სწორედ იმ დროს ხელმეორედ ავად გამიხდა ჩემი დურმიშხანი და აღარა მიხაროდა რა. ისევ იმ სანატორიაშია, სადაც მომავალ 1939 წლის იანვრამდე უნდა იწვეს. აპრილში-ივნისში ოპერაციას გაუკეთებენ და ამისათვის ამზადებენ. წარმოიგინეთ 4-5 წელიწადი უხდება უძრავად წოლა. საქართველოს ისტორიის შესწავლამ გაიტაცა და მრავალი მასალები წაიღო თან. ეხლა მწერს, რომ ფრანგულად უკვე შეადგინა *Historie de Georgien*. ზოგი წამაკითხა და, ვფიქრობ, კარგის ენით არის დაწერილი. ამ ჟამად მანქანაზედ აბეჭდვინებს და დიდად ხალისობს: ჩვენ ეს გვიხარის.

ერთი სათხოვნელი მაქვს თქვენთან და როდესაც პარიზში მობრძანდებოდეთ გთხოვთ გვინახულოთ. საქმე ეხება ჩვენ ბარგს, რომელიც *Frau Kruger*-თან<sup>20</sup> ინახება. პირადად მაინტერესებს გავიგო, რა მევალება მაგ

<sup>15</sup> იხ. ქვემოთ.

<sup>16</sup> იგულისხმება დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე (1882-1962).

<sup>17</sup> ქართველი მეცნიერი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე (1878-1965).

<sup>18</sup> ქართველი ჟურნალისტი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე (1870-1960).

<sup>19</sup> სავარაუდოდ, იგულისხმება ლადო ახმეტელი (1874-1942). დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი გერმანიაში, 1924-1937 წლებში ბერლინში ქართული ახალშენის ხელმძღვანელი (ენციკლოპედია 1997: 301)

<sup>20</sup> ვერ დავადგინეთ.

პატიოსან ქალისა, რომ ამდონ ხანს შემინახა ნივთები. ამ ნივთებში ჩემთვის ძვირფასია: დედაჩემის<sup>21</sup> რვეული, ქართული წიგნები, ჩემი დურმიშხანის „სკრიპკა“ და მშვენიერი გამოცემა ტრეტიაკოვის სამხატვრო მუზეის სურათებისა, მგონი მთლად ფერადებით ნაბეჭდი. იქნება მანდ გავყიდო როგორმე და ხელი მოვინაცვლო.... იმ ზანდუკში ერთი სამაგიდო „განძიც“ არის: რამოდენიმე ათასეული მილიარდის მარკის აქციები: Berbiner Bank-ისა, რომელიც გაკოტრდა და მონაწილენიც გაგვაკოტრა. ეს აქციები სულ წყალში გადასაყრელია ამ ჟამად, ან შპალერებად თუ გამოდგება კედლებზედ გასაკრავად...

ბატონო თამარ, თქვენ მშვენიერ წიგნს თავის დროზედ გავუგზავნი ჩემ ავადმყოფ შვილსა, რომ თავის ისტორიისთვის გამოიყენოს, თუ ნებას მოგვცემთ. ჩემმა მეუღლემ და კოტემ მრავალი მოკითხვა მოგახსენესთ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი გიორგი ჟურული.

P.S. თქვენი...<sup>22</sup> ძველ მისამართით მისულიყო, გუშინ გადმომიგზავნეს. ატყონიბენთ ახალ ბინასაც. გ.ჟ.

/ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თამარ და აკაკი პაპაშვილის არქივი, №129/.

**გიორგი ჟურულის საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილი ირინა მაქარაშვილისადმი** (წერილი დაუთარილებელია და თავფურცელი აკლია. დისშვილისა და მისი მეუღლის – ანატოლი კიზირიასადმი გამოგზავნილი ბარათი, სავარაუდოდ, XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს უნდა იყოს დაწერილი, რადგან წერილში მოხსენიებულნი არიან მიხეილ მაქარაშვილის შვილები: გიორგი და ინესი. ხელნაწერი, ქართულ ენაზე).

როდის დავიწყე შენთან წერილი, და როდის გიგზავნი. ზეგ შენი დღეობაა, რომელსაც ელიჩკა,<sup>23</sup> მე, მიშა,<sup>24</sup> კოტე და მეჟევიდან ჩემი დურმიშხანიც<sup>25</sup> გილოცავთ და მოგეხვევით უანგარიშოთ. მიშამ გაგვახარა თავისი მოსვლით. დილით ადრე რომ ადგება მოგვადგება ხოლმე თავის პიჯამაში მე და ელიჩკას. სულ თქვენზედ და მანდაურობაზედ გვაქვს საუბარი. აგვიწერს თავის მარგალიტ ბავშვებს<sup>26</sup> და ცოლის<sup>27</sup> კარგ დედობას. სამსახურში დაწინაურებულია, თუმცა აქაური კაპიტალისტები ჩვეულებებისამებრ ფულით არ აფასებენ და არ ზრუნავენ, როგორც ეს საჭიროა. ამათი ქარხანა კი სხვებისას აჯობებენ მაინც. ზიზო,<sup>28</sup> ქმარ შვილით და გიორგიც<sup>29</sup> კარგად არიან. ვხედავთ ხოლმე ხან გამოშვებით. ძალიან კარგი ბიჭი ყავს ზიზოს, ნიჭიერი და მეცადინე, გივი ჰქვია და 11 წლისაა. გოგი ჭიჭინაძეს<sup>30</sup> სულ არა ვხვდებით, ისე კი გავიგეთ რომ მითომ საცოლე რომ ყავს იმას წაუყვანია კუნძულ ტაიტზედ და იქ ყოფილან 1/2 წელიწადი. ეხლა

<sup>21</sup> იგულისხმება ქეთევან ჟურული.

<sup>22</sup> ერთი სიტყვა გაურკვევლად წერია.

<sup>23</sup> იგულისხმება გიორგი ჟურულის მეუღლე ელენე მუსხელიშვილი.

<sup>24</sup> იგულისხმება მიხეილ მაქარაშვილი.

<sup>25</sup> იგულისხმებიან გიორგი ჟურულის შვილები.

<sup>26</sup> იგულისხმებიან მიხეილის შვილები: გოგი და ინესი.

<sup>27</sup> იგულისხმება მიხეილ მაქარაშვილის მეუღლე ელიზაბეტ გლასი.

<sup>28</sup> ვერ დავადგინეთ.

<sup>29</sup> ვერ დავადგინეთ.

<sup>30</sup> ვერ დავადგინეთ.

დაბრუნებულან. უთუოდ ვნახავ ვისმე, რომ შევატყობინო კატოს<sup>31</sup> სიტყვები. ძვირფასო ირა და ტოლია<sup>32</sup> იყავით ბედნიერათ და ჯანსაღათ. ტოლია ჩემო, დიდი და დიდი მადლობა წიგნისათვის. მოგეხვევით ორთავეს თქვენი ბიძა გიორგი. გაკოცებთ ყველას თქვენი ელიჩკა.

/აღნიშნული წერილი დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში – კულტურის ისტორიის მუზეუმში, ჟურულების არქივში, თუმცა დოკუმენტს სარეგისტრაციო ნომერი არ აქვს. საქართველოს ხელოვნების სასახლე, კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 3035/.

**გიორგი ჟურულის საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილი დისშვილის – ირინა მაქარაშვილისადმი** (ხელნაწერი, რუსულ ენაზე). წერილი დაუთარილებელია, თუმცა აღნიშნული ბარათი 1933 წლამდე უნდა იყოს გამოგზავნილი. წერილში გიორგი ჟურული ირინა მაქარაშვილის მეუღლეს – ანატოლი კიზირიას სხვადასხვა სახის სტატისტიკურ ინფორმაციის გაგზავნას სთხოვს, მათ შორის საქართველოში მცხოვრები გლეხთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის შესახებ. როგორც ჩანს, ანატოლი კიზირიამ მეუღლის ბიძას თხოვნა შეუსრულა და აღნიშნული ინფორმაცია გაუგზავნა. სწორედ ამ მასალებს ეყრდნობა 1933 წელს, გაზეთში „სამშობლო“ გამოქვეყნებული გიორგი ჟურულის ნაშრომი: „ქართველი ერი როგორც მშენებელი“).

ჩემო ძვირფასო იროჩკა, გენაცვალის ბიძა შენი, თხოვე ტოლიას<sup>33</sup> სტატისტიკის სამმართველოდან საქართველოს გლეხების ოჯახების ბიუჯეტის შესახებ ჩემთვის მონაცემები რომ შეაგროვოს. ვიცი, რომ სტატისტიკის სამმართველომ ახლახანს ამ საკითხის გამოკვლევა მოახდინა. ძვირფასმა ტოლიამ, იქნებ ინფორმაცია ამავედროულად, საქართველოს სახალხო სიმდიდრის და ეროვნული შემოსავლის ოდენობის შესახებაც მოიკითხოს. უთხარი მას, რომ მე პირადად აღნიშნულთან მიმართებით, არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე, გათვლა ვაწარმოვე და შედარება მსურს. გაკოცებთ ორთავეს. შენი ბიძა.

პ.ს. ეს მონაცემები ჩემი პატარა წიგნისთვის მჭირდება, რომელიც ჯერ კიდევ ბერლინში დავწერე და ტექსტის საბოლოოდ გადახედვას ვაპირებ. რა თქმა უნდა იმ მონაცემების თაობაზე გთხოვ, რომლებიც გამოქვეყნებას ექვემდებარებიან.

/აღნიშნული წერილი დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში – კულტურის ისტორიის მუზეუმში, ჟურულების არქივში, თუმცა დოკუმენტს სარეგისტრაციო ნომერი არ აქვს. საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 3035/.

**გიორგი ჟურულის მეუღლის – ელენე მუსხელიშვილის წერილი ნინო ჟურულისადმი** (წერილი გამოგზავნილია ჰააგიდან. ტექსტის დასაწყისში მითითებულია თარიღი: 15.01.1922. ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ძვირფასო ნინა!

ჩვენ ჯერ ისევ გიორგისთან ვიმყოფებით ჰააგაში და ბერლინში გამგზავრებას მხოლოდ ამ კვირას ვაპირებთ, რათა ჩვენი ბიჭები<sup>34</sup> საბოლოოდ

<sup>31</sup> ვერ დავადგინეთ.

<sup>32</sup> იგულისხმება ირინა მაქარაშვილის მეუღლე ანატოლი კიზირია.

<sup>33</sup> იგულისხმება ანატოლი კიზირია.

<sup>34</sup> იგულისხმებიან გიორგი ჟურულისა და ელენე მუსხელიშვილის ვაჟები: დურმიშხანი და კონსტანტინე.

მოვაწყით, სადაც მათ დიდი სამუშაო ელით, მაგრამ რომ მომაგონდება ჩვენი ცალ-ცალკე ცხოვრება გიორგისთან, ძალიან ვღელავ და ვწუხვარ იმის გამო, რომ ბავშვებზე...<sup>35</sup> და ზრუნვა-პატრონობა მართოს მომიწევს. ჩემთვის სრული ბედნიერება არ არსებობს, მაგრამ რა გავაკეთო – ბედს უნდა დავემორჩილო! ირა და მიშა<sup>36</sup> რას საქმიანობენ – თუ მეცადინეობენ გერმანულ ენაში? როგორ არიან თამარი, ალექსი და ოთარიკო<sup>37</sup> ჭელიძე (?) ყველა ჩვენთაგანი მათ მოკითხვას და კოცნას ვუგზავნით. ჩემი ბიჭები განაწყენებული არიან. თქვენთვის უწესრიგოდ დაწერილი წერილები რომ დავუხიე. სანამ წყენას არ დაივიწყებენ არავის სახელზე აღარ დაწერენ წერილს. გამომტერებულებს არ ესმით (ამით) ვის სჯიან! მართა<sup>38</sup> გარეშე მოწყენილი ვართ, მაგრამ რა გავაკეთოდ, კონსტანტინოპოლიდან მისი წამოყვანის შესაძლებლობა ჯერ არ გვაქვს – ის ჯერჯერობით კარგ ხალხთან ...<sup>39</sup> იმყოფება და მეც მშვიდად ვარ. მოკითხვა ყველას ვისაც ჩვენ ვახსოვართ, ცალკე ელიზავეტა როსტომის ასულ ...<sup>40</sup> გიორგი, ბავშვები და მე მაგრად გკოცნით ყველას, მათ შორის ძიძას, რომელსაც არ ვივიწყებთ და დროდადრო მის საყვარელ გამოთქმებს ვიხსენებთ ხოლმე. შენი მოსიყვარულე ელია.

/საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ბ. 42763/.

## დანართი №2

**დურმიშან (დუმას) ჟურნალის წერილი ნინას, ირას და ტოლიას** (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ბარათზე ფრანგულ ენაზე მიწერილია ადრესატის მისამართი: სსრკ, მოსკოვის გავლით ქ. ტფილისი, პეროვსკაიას (ყოფ. ანასტასიევსკაიას) №8, ნინა დ. მაქარაშვილს. ბარათის მარცხენა ზემო ნაწილში გამომგზავნის მისამართია ფრანგულ ენაზე. წერილს დასაწყისში აქვს თარიღი: 23.04.34. წერილის ბოლოს მიწერილი აქვს: მოკითხვა კრივოზუბკინებს, კოცნა და მოკითხვა ჩვენს ნათესავებსა და მეგობრებს.

ძვირფასო მამიდა ნინა, ირა და ტოლია!

ყველა თქვენი წერილი მივიღე, ზოგი ჩვენების მეშვეობით, ზოგი პირდაპირ მოვიდა. გუშინ თქვენი, კიდევ ერთი, 11 აპრილის წერილი მივიღე. ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ როგორ ვხარობ, როდესაც თქვენს წერილებს ვიღებ. შმერლინგის სესიის „...ტფილისი“-ს მიღება ძალიან მესიამოვნა. მეტად კმაყოფილი ვიქნები თუ არ შეწუხდებით და თბილისის ხედებს (მაგალითად: ალბომს) გამომიგზავნით. თქვენს სამოყვარულო ფოტოებს მოუთმენლად ველი და მომეცემა თუ არა შესაძლებლობა, ჩემებსაც გამოგიგზავნით. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ მეტად საინტერესო წერილების გამო, სადაც თქვენ ძალიან ცოცხლად გადმოსცემთ ყოველივე იმას, რაც ჩვენს ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს ეხება. თქვენი წერილების კითხვისას თავი ტფილისში, ან არბოში მგონია! ნეტავ იცოდეთ, ყოველივე ეს როგორ მსიამოვნებს. შევეცდები რაც

<sup>35</sup> არ იკითხება.

<sup>36</sup> იგულისხმებიან ნინო ჟურნალის შვილები: ირინა და მიხეილ მაქარაშვილები. როგორც ჩანს, მიხეილი ჯერ კიდევ არ იყო სასწავლებლად წასული ევროპაში.

<sup>37</sup> წერილში მითითებული პირები ვერ დავადგინეთ.

<sup>38</sup> ვერ დავადგინეთ.

<sup>39</sup> არ იკითხება. სავარაუდოდ, უნდა ეწეროს: ჯაყელებთან.

<sup>40</sup> არ იკითხება.

შეიძლება ხშირად მოგწეროთ, მაგრამ ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე ხშირად სათქმელი არაფერი მაქვს. თუ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს მონოტონური ცხოვრება სანატორიუმში. ისე კი, კითხვა და წერა მართლა ყოველთვის მიყვარდა, (ირა ჩვენი „თხზულებანი“ თუ გახსოვს?!) ასე რომ ყოველივე ცოტადენ მაინც მშველის მოწყენილობისგან. ხანდახან, როცა კარგი ამინდია ჩემს გორგოლაჭებიან საწოლს აივანზე, ან ზღვის ნაპირზე აგორებენ და მეც იმითი ვერთობი, რომ გემებს და ნავებს დურბინდით თვალს ვადევნებ. ამ ზამთარს დიდი წვერი მოუშვი, ძალიან სასაცილო ვიყავი. გასულ კვირას მოვიპარსე, მაგრამ გრძელი ულვაში დავიტოვე, რაც უფრო სასაცილოს მხდოდა! თუმცა ეს ყოველივე ფოტოგრაფიისათვის, მერე ულვაშსაც მოვიპარსავ, ასე რომ – ვერთობი. განწყობა საკმაოდ კარგი მაქვს და სულითაც არ ვეცემი. იმედია, რომ ასე გაგრძელდება კიდევ. ჩემი ავადმყოფობის მიმდინარეობის თვალსაზრისით ახალი არაფერია. ვხედავ, რომ მამაჩემის მეშვეობით ყველაფრის საქმის კურსში ხართ... ამ ღია ბარათს პირდაპირ სანატორიუმიდან გიგზავნით. იმედია, თქვენამდე ჩამოაღწევს. ასეთივე ღია ბარათები ერთდროულად მაშურას<sup>41</sup> და მამუნას (?)<sup>42</sup> გავუგზავნე. მაინტერესებს ერთდროულად მიიღებთ თუ არა?

ნახვამდის ჩემო ძვირფასებო, მაგრად და მაგრად გკოცნით.

თქვენი დურმიშხანი.

P. S. მოკითხვა ძიძას.

/საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 42732/.

**დურმიშხან (დუმას) ჟურულის წერილი ნინას, ირას და ტოლიას** (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ღია ბარათის გარეკანზე ფრანგულ ენაზე მითითებულია ადრესატი: სსრკ, მოსკოვის გავლით, ქ. ტფილისი, პეროვსკაიას (ანასტასიევსკაიას) №8, ნინა დ. მაქარაშვილს. ბარათის მარცხენა ზემო ნაწილში მიწერილია გამომგზავნის მისამართი ფრანგულ ენაზე, ხოლო ქვემოთ ვკითხულობთ: ჩვენს ნათესავებსა და მეგობრებს, ვისაც ეკუთვნის, მოკითხვა და კოცნა, მოკითხვა ძიძას, ამავედროულად ვწერ მაშურას და ...<sup>43</sup> წერილის დასაწყისში მოცემულია თარიღი: 25.10.34.

ჩემო ძვირფასო ნინა, ირა და ტოლია!

მამა ალბათ მოგწერდათ, თუ დღემდე რატომ არ გასუხოვდით, ჩვენი მიყრუებული საზაფხულო რეზიდენციის გამო მეშინოდა წერილები ფოსტაში არ ჩარჩენილიყო. ამჟამად კი თქვენ „თქვენთანა ხართ“ და მეც ამ ღია ბარათს გიგზავნით. გაცნობებთ, რომ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და გამოჯანმრთელების გზას ვადგავარ. მაგრამ მომავალ საზაფხულს ახალი ოპერაციის გადატანა მომიწევს, რადგან პირველმა, პარიზში რომ გავიკეთე, სათანადო შედეგი არ გამოიღო და თუ ყველაფერი კარგად იქნება, იმედი მაქვს, რომ ერთ წელიწადში სანატორიუმს დავტოვებ, თუმცა, ორ წელზე ადრე მაინც ჩემს თავს მთლად ჯანმრთელად ვერ ჩავთვლი. მართალია ყოველივე დროში გაიწელება, მაგრამ მე უკვე შეგუებული ვარ. ისე, რომ ეს პერსპექტივა ჩემს განწყობაზე უარყოფითად არ მოქმედებს. სულიერი განწყობა ამგვარი დაავადებების დროს მეტად

<sup>41</sup> ვერ დავადგინეთ.

<sup>42</sup> გაურკვეველია.

<sup>43</sup> სახელი არ იკითხება.

მნიშვნელოვანია. თქვენი ყველა წერილი მივიღე (მათ შორის მაშურასიც). ძალიან მესიამოვნა „არსენა მარაბდელის“<sup>44</sup> მიღება. მადლობა თქვენ. კარგი იქნებოდა, ტფილისის და, საერთოდ, საქართველოს ხედები თუ მექნებოდა. ნუთუ თქვენთან ჩვეულებრივი საფოსტო ილუსტრირებული ბარათებიც კი არ არის? და კიდევ თქვენი ფოტოსურათები მინდა. რა ხანია არ მინახიხართ. ახლახანს ერთი ჩემი ნაცნობი, საზღვაო ოფიცერი, ბათუმში ნავთობის გამო იმყოფებოდა, მაგრამ გამგზავრების წინ არ გამოძიარა. ვწუხვარ, თორემ დავალებას მივცემდი, რომ ბოთლი ღვინო, ფირფიტები და ხედები წამოეღო! სანატორიუმში ჩემი ახალი ოთახი ძალიან კარგია - ნათელი და მზიანი, იგი ოკეანეს გასცქერის. მარტოობა არ მაშინებს, პირიქით... დედა და მამა მენატრება, მაგრამ არა უშავს რა - მომავალ წელს ესეც იქნება.

გკოცნით მაგრად, თქვენი დუმა.

/საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 42743/.

### დანართი №3

**კოტე (კონსტანტინე) ჟურულის წერილი ნინო და ირა მაქარაშვილისადმი**  
(წერილი გამოგზავნილია ჰააგიდან. ფურცლის თავში მიწერილია წერილის გამოგზავნის თარიღი: 23.07.25. ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ძვირფასო მამიდა ნინა და იროჩკა!

კარგა ხანია თქვენგან ამბები არ მიმიღია, ისე ეტყობა შენი ახალი ცხოვრების გადაწყვეტის სულ დაგავიწყდი. იმისთვის, რომ ტოლიამ მე, შენს უმცროს ძმას, შენი თავი წამართვა, მასზედ არ ვბრაზობ, თუ ხანდახან გამიხსენებ, ესეც საკმარისი იქნება ჩემთვის.

დუმამ<sup>45</sup> გამოცდები ძალიან კარგად ჩააბარა. დედა და მამა 15 აგვისტოს ჰოლანდიიდან მიემგზავრებიან, მაგრამ ჯერ არ იციან სად, შესაძლოა გერმანიაში. მე კი აქ...<sup>46</sup> 1926 წლის აპრილამდე მარტო ვრჩები, ჩემს მეგობარ...<sup>47</sup> ლიპელთან<sup>48</sup> ვიცხოვრებ. ის მომავალ წელს ჩემთან ერთად აბარებს გამოცდებს. ამ ოჯახის თაობაზე დაწვრილებით ბაბუას<sup>49</sup> მივწერე. გამოცდის შემდეგ, დიდი ალბათობით, აქედან დარმშტადში<sup>50</sup> გავემგზავრები, პოლიტექნიკუმში. რა გამოვალ - ჯერჯერობით არ ვიცი.

ამჟამად ჰამბურგში<sup>51</sup> ვიმყოფები, ჩემი მეგობრის მშობლებმა მიმიპატიჟეს, თვითონ კი<sup>52</sup> არდადაგებზე ლონდონში გაემგზავრა. არაჩვეულებრივი ამინდია, ცოტა ცხელა კიდეც. 39-40 გრადუსია, ჩრდილში, სახლი ლიპელების საგვარეულოს ეკუთვნის, ბაღებსა და ბოსტნებშია, ტყეც აქვია, მაგრამ ჩვენს

<sup>44</sup> იგულისხმება მ. ჯავახიშვილის ცნობილი რომანი.

<sup>45</sup> იგულისხმება დურმიშხან გიორგის ძე ჟურული.

<sup>46</sup> არ იკითხება.

<sup>47</sup> სახელი არ იკითხება.

<sup>48</sup> ვერ დავადგინეთ.

<sup>49</sup> ვერ დავადგინეთ, ვის გულისხმობს.

<sup>50</sup> იგულისხმება გერმანიის ერთ-ერთი ქალაქი.

<sup>51</sup> გერმანიის ერთ-ერთი ქალაქი.

<sup>52</sup> იგულისხმება მისი მეგობარი.

არბოსთან შედარება, არანაირად არ შემოიღია. რას არ გავიღებდი ჩვენი სოფლისთვის ერთი რომ შემეხედა. 1 სექტემბრამდე აქ ვრჩები, ჩემი მისამართია: კ. ჟურული, პ/ა ლიპელი, კონიგინერახტ 56 ჰააგა, ჰოლანდია. ცხოვრება აქ სრული სვლით მიედინება, ცეკვები, საღამოები, და ა.შ. მეც უკვე 2-3 ჯერ ვიცეკვე. ახლახანს...<sup>53</sup> ჰოლანდია გადავიღე და ვფიქრობ, რომ დღეა ფოტოებს და ბარათებს გამოგიზავნის. ირა, ჩვენ დღემდე არც შენი და არც მამიდა ნინას ბარათები და ფოტოები არ გვაქვს. არც ვიცი შენი მეუღლე როგორია. ერთი-ორი სიტყვაც რომ მომწეროს, მაშინვე მივხვდები, თუ რას წარმოადგენს. ასე რომ, დაო ჩემო, დავალებას გაძლე, რათა ცოტაოდენი მოინდომო და თქვენი ფოტოსურათები ჩემს მისამართზე გამოგიგზავნო. შენ იცი, რომ სულ მარტოდ მარტო ვრჩები და თავს მიტოვებულად ვგრძნობ. მართალია აქ საოცრად კარგი ადამიანების გარემოცვაა, მაგრამ ყველა ისინი ჩემთვის უცხონი არიან. იგივე ბაბუას, ბებიას, მამურას და...<sup>54</sup> უთხარი. შეამჩნევდი, ალბათ, რომ რუსულად წერას და აზრის გამოთქმას გადავეჩვიე.

სამომავლოდ, შენ და შენს „ღრმად პატივცემულ“ ქმარს გთხოვთ, რომ არ დამივიწყოთ და „ხშირად“ მომწეროთ. მამიდა ნინასი მესმის, ის ყველაზე ზრუნავს და ვიცი, დროს თუ გამონახავს, ისიც ერთ-ორ სიტყვას მომწერს,

ასე, რომ შენს დაჩქარებულ პასუხამდე გემშვიდობები. ყველას მაგრად გკოცნით, (არ დაგავიწყდეს ტოლიასაც გადაეცი) თქვენი კოტე

P.S. მოკითხვა მაღალაღ<sup>55</sup> და ყველა ჩემს ნაცნობს, გკოცნი ძიძას.

კ. ჟ. (კონსტანტინე ჟურული)

/საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763/.

<sup>53</sup> არ იკითხება.

<sup>54</sup> არ იკითხება.

<sup>55</sup> იგულისხმება ირინა მაქარაშვილის მეგობარი მარიამ (მაღალაღ) მესხიშვილ-ანდრონიკაშვილი.